ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 8-34804/07

"11" 02 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი II, (ნაკვეთი №2) (საკ. კოდი №01.10.06.014.015) არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2406835 28.01.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი II, (ნაკვეთი №2) (საკ. კოდი №01.10.06.014.015) არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

შეცვლილია კოლონების კვეთი, ფორმა, ადგილმდებარეობა და გაზრდილია მათი რაოდენობა. შეცვლილია რიგელების კვეთი და დამატებულია კონსტრუქციული ელემენტები. შეცვლილია ღიობების ნახატი და გაბარიტი. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადის ფერი. ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია კედლების ფორმა. ტერიტორიის კეთილმოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. პირველ სართულზე გაუქმებულია კიბის საფეხურები. შეცვლილია პარაპეტის ფორმა და ადგილმდებარეობა. შეცვლილია ლითონის პარაპეტის ნახატი. სახურავზე დამატებულია გამწოვი შახტები. შეცვლილია სამანქანოს გაბარიტი და ფორმა. შეცვლილია კარის ფერი. ლიფტის შახტაში გაზრდილია ფილის სიმაღლე. ფრანგულ აივნებზე გაზრდილია მოაჯირის გაბარიტი.

-6.10 ნიშნულზე „3-4" მონაკვეთში შემცირებულია სართულის სიმაღლე. შეცვლილია კიბის ადგილმდებარეობა და კონფიგურაცია. კიბესთან დამატებულია ლითონის კონსტრუქციები.

-2.80 ნიშნულზე პანდუსთან დამატებულია კედლები და შეცვლილია პანდუსის ფორმა.

+0.60 ნიშნულზე „1-2" მონაკვეთი შეცვლილია ფილის ფორმა და გაზრდილია გაბარიტი 2კვ.მ-ით.

„1-7" ფასადი: +0.60 ნიშნულზე „1-2" მონაკვეთში დამატებულია ვიტრაჟი. „4-6" მონაკვეთში ერთის ნაცვლად მოწყობილია ორი ვიტრაჟი.

„A-H" ფასადზე დამატებული ორი გამწოვი ხვრელი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ამხანაგობა „გიორგი ბრწყინვალე 2007-2"-ს, ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი II, (ნაკვეთი №2) (საკ.

კოდი №01.10.06.014.015) არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №34804/07 03.02.2016წ. და №35955/07 04.02.2016წ. განცხადებები.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**